ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2023 წლის იანვრიდან დღემდე პერიოდს.

კომისიის შემადგენლობაში არის საკრებულოს 11 წევრი:

1. ოთარ ლურსმანაშვილი
2. ავთანდილ კვინიკაძე
3. დავით კიკნაძე
4. უშანგი ბერაძე
5. პავლე კიკალიშვილი
6. მარინე ხვედელიძე
7. შალვა ლურსმანაშვილი
8. ქეთევან ზუმბაძე
9. ბაქარ ბარბაქაძე
10. კიაზო გამრეკელაშვილი
11. ლენა აბაშიძე

კომისია თავისი უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტისა და კომისიის დებულების“ შესაბამისად.

კომისია სხდომებზე განიხილავდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ და საკრებულოს მუშაობის პროცესში წარმოშობილ დამატებით საკითხებს. შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფდა საკრებულოში პროცედურული ნორმების დაცვას. ასევე თავის კომპეტენციის ფარგლებში ამოწმებდა საკრებულოს სამართლებრივი აქტების კანონშესაბამისობას.

კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 16 სხდომა, აქედან 12 მორიგი, ხოლო 4 რიგგარეშე.

მოახდინა აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოს სხდომების კენჭისყრის შედეგების შეჯამება.

კომისია აქტიურად იყო ჩართული 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვაში და დამტკიცებაში , საკრებულოს კომისიებთან ერთად შევიმუშავეთ საბიუჯეტო შენიშვნები და გათვალისწინების მიზნით მივმართეთ მერიას.

კომისიამ განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის, აუდიტის სამსახურის ანგარიში, სადაც წარმოდგენილი იყო 3 ა(ა)იპ -ის დარღვევები და რეკომენდაციები და მერიის 4 სამსახურის დარღვევები და რეკმენდაციები. რეკომენდაციები თითქმის სრულიად

გამოსწორებულია.

კომისიამ განიხილა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობებში ცვლილებები, ესენი შეეხებოდა, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას. შესაბამისი დასკვნები წარუდგინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

კომისიამ განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების ცვლილება, რომელიც შეეხებოდა სამსახურის უფროსისთავის მოადგილის შტატის დამატებას.
აღნიშნული საკითხი შეესაბამიშობაშ იყო კანონმდებლობასთან და აქედან გამომდინარე კომისიამ დადებითი დასკვნა წარუდგინა საკრებულოს.

კომისიში შემოვიდა წერილი ,,შ.პ.ს 2011“-ის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების თაობაზე, მერიას წარმოდგენილო ქონდა საჭირო დოკუმენტაციები (ინვენტარიზაცის ოქმი, ინვენტარიზაციის უწყისი, ინვენტარიზაციის აქტი და გნმარტებითი ბარათი) დასაბუღებული ქონდა ლიკვიდაციის საფუძვლები, აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ გასცა დადებითი დასკვნა და წარუდგინა საკრებულოს.

კომისიამ განიხილა,

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცებისა და მათი აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების ფორმები, რომელიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურს ჰქონდა წარმოდგენილი. აღნიშნულ საკითხზე მოწვეული გვყავდა სამსახურის წარმომადგენლები, შემდგომიში კი დასკვნა წარედგინა საკრებულოს.

კომისიამ განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის, შიდა აუდიტისა და მონიტორინის სამსახურის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის, შესყიდვების სამსახურის ანგარიშები და საკრებულოს წარუდგინა დასკვნები და მოსაზრებები.

აქვე მინდა ავღნიშნო რომ კომისიის წევრების მხრიდან ადგილი არ ჰქონია ხშირ გაცდენებს და ქვორუმის არ არსებობის გამო სხდომის ჩაშლას, რისთვისაც მადლობას ვუხდი კომისიის ყველა

წევრს.

მადლობას ვუხდი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრებს და საკრებულოს აპარატს გუნდური და მჭიდრო კომუნიკაციისთვის ასევე, კომისიის გამართულად მუშაობაში ხელშეწყობისთვის.

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო
საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

ოთარ ლურსმანაშვილი